ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება

2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარში

2019 წლის იანვარში ცხემლისხიდის გიორგი სალუქვაძის სახელობის მუზეუმში ჩატარდა ტრადიციული კალანდობის დღესასწაული, გურულ სამზადისში, შუაცეცხლთან, მუზეუმის თანამშრომლების მიერ მომზადებული იქნა ღვეზელი და სხვა ტრადიციული კერძები. ადგილობრივ და ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლობა გაუწია მუზეუმის ფონდების მცველმა ქალბატონმა მანანა ლომაძემ, მან აუხსნა სტუმრებს რა ტრადიციები არსებობდა გურიაში კალანდობასთან დაკავშირებით, ასევე ახსნა-განმარტებები გააკეთა საშობაო ღვეზლის ფორმის მნიშვნელობაზე და მასთან დაკავშირებული ტრადიციების შესახებ. ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ სამუზეუმო გაერთიანების და ასევე სხვა ფილიალების თანამშრომლები.

2019 წლის 24 იანვარს სამუზეუმო გაერთიანებამ მოაწყო შეხვედრა ნიაზ ბოლქვაძესთან. ნიაზ ბოლქვაძე არის 2019 წლის ნობელის პრემიის ნომინანტი მშვიდობის დარგში, პირველი ქართველი, ვინც ნობელის პრემიაზე ჩვენს ქვეყანას წარადგენს. იგი გახლავთ ფილოსოფოსი, მწერალი და მკვლევარი.

ბატონმა ნიაზმა პრეზენტაზია გაუკეთა ნობელის პრემიაზე წარდგენილ თავის ნაშრომს - "აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება." წიგნის საჯარო განხილვები მთელი საქართველოს მასშტაბით იმართება. შეხვედრას მოწვეული სტუმრები , მუზეუმის თანამშრომლები , ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების , კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. შეხვედრის ბოლოს წიგნის ავტორმა დასმულ შეკითხვებს უპასუხა და მუზეუმს საჩუქრად აბესა , იოთამ და გიორგი ბოლქვაძეების საგანგებოდ შესრულებული ნახატები გადასცა.

2019 წლის თებერვალ - მარტში გაიმართა ყოველწლიური .სამეცნიერო ნაშრომების განზილვა. აღნიშნული თემები ფრიად საინტერესო და აქტუალურია ჩვენი კუთხის ისრორიის უკეთ წარმოჩინების თვალსაზრისით. ახალი შრომებისა და კვლევების პრეზენტაცია გაიმართება შემოდგომაზე.

1. ირინა კალანაძე - „ ჩაის ისტორია“
2. დარჯან გოგუაძე - „ წნული ჭურჭელი გურიაში“
3. მარიკა ღლონტი - „ვახუშტი გურიაზე და გურულებზე“ (პირველი ნაწილი)
4. ნინო ვაშალომიძე - „ გენიჩესკი და საქართველო „
5. მანანა ლომაძე - „ეკატერინე გურიელის მარტვილობა“

თებერვალში დავაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით გაიმართა ლექცია-სემინარები თემაზე - „მოგზაურობა აჭარა-გურიის რუკაზე.“ აღნიშნული ლექცია-სემინარი მიზნად ისახავდა მოზარდებისთვის უკეთ გაეცნო ჩვენს ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები. აღნიშნული მიმართულებით კვლავ გაგრძელდება მუშაობა.

მარტში გაიმართა ინტეგრირებული გაკვეთილები თემაზე „გვახსოვს ჩვენი ტრადიციები,“ ჩვენი კუთხის ეთნოგრაფიული საკითხების წარმოჩენის მიზნით.

მარტში ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა ვოქშოპები „ბებიის რეცეპტები," რომელიც ითვალისწინებდა ძველი გურული ტრადიციული კერძების რეცეპტების მოძიებასა და მომზადებას მოსწავლეთა ჩართულობით.

ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში ტრადიციად იქცა ერთგვარი ღია გაკვეთილები თუ ექვთიმესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოწყობა. ისინი, როგორც წესი, რამდენიმე დღით ადრე დგინდება, ზოგჯერ კი სიურპრიზულ მოვლენას წარმოადგენს. ე.ი წინასწარ საერთოდ არ გვატყობინებენ მოსალოდნელი ვიზიტისა და აქ მოსაწყობი ღონისძიების შესახებ. ასე, უფრო ხშირად, შედარებით შორი რაიონებიდან სტუმარი სკოლები იქცევიან. მუზეუმი კვლავაც მზად შეხვდა და მომავალშიც შეხვდება, მეტიც, თავად იქნება ინიციატორი საინტერესო ფაქტებითა და ჩვენი ერის გამორჩეული შვილების შესახებ მომზადებული მასალებით წარსდგეს დამთვალიერებელთა თუ ჩვენთან ერთგულად სისტემატიურად მოთანამშრომლე საზოგადოებასთან. სწორედ ამას ემსახურებოდა **თებერვალ - მარტში** აქ გამართული რამდენიმე ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება მომხმარებელთან, გამოჩენილ პიროვნებებზე თუ საინტერესო მოვლენებთან დაკავშირებით.

ფონდით სარგებლობა

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ისტორიულ მუზეუმში გაუსაძლისი პირობებია, ვერ ვღებულობთ დამთვალიერებელს, არ გაგვაჩნია საექსპოზიციო სივრცე და დღე-დღეზე ველოდებით სარემონტო სამუშაოების დაწყებას, რეგულარულად ვღებულობთ მოსწავლე - ახალგაზრდობას, სტუდენტებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს, დამოუკიდებელ მაძიებლებს თუ მკვლევარებს, რომლებმაც ისარგებლეს ფონდში დაცული ფოტო - დოკუმენტური მასალით და გაეწიათ რეკომენდაციები. ეს ფაქტები დაფიქსირებულია ფონდით სარგებლობის ჟურნალში.

ფონდით მოსარგებლეთა შორის გახლავთ: დავით შუღლიაშვილი, თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური განყოფილების გამგე. ფოლკლორული მასალების შესწავლის კუთხით.

ირაკლი მახარაძე კინორეჟისორი, მწერალი, პუბლიცისტი

რეზო ჭეიშვილი - ფერმერი. გურიაში მარანთან დაკავშირებული საკითხების გაცნობის მიზნით.

როსტომ კაჭახიძე სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი. აკადემიკოს სევერიან მაისაშვილის ნამუშევრების გაცნობის მიზნით.

ბაილეთის და ცხემლისხიდის საჯარო სკოლები „ სამოქალაქო თვითმართველობის თემაზე".

14 აპრილს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ"... ღონისძიება ჩატარდა დვაბზუსა და ცხემლისხიდის საჯარო სკოლების და მუზეუმის ერთობლივი ჩართულობით. მასში 30 მოსწავლე ღებულოიბდა მონაწილეობას. გაეწია პოპულარიზაცია ქართულ ანბანსა და დამწერლობასა.

დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში აპრილის თვეში გაიმართა ინტეგრირებული გაკვეთილები საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით. „სტამბის დაარსება ოზურგეთში". და „შენობა - ნაგებობები გურიაში." მათი დანიშნულება და გამოყენების

წესები. მიგვაჩნია რომ ორივე საკითხი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია მომავალი თაობის ცოდნის გაღრმავების მიზნით.

22 აპრილს გურიანთის მემორიალურ მუზეუმში გაიმართა ღონისძიება თემაზე „ გურიანთა როგორც ნეოლითური ნამოსახლარი „ სკურდუმის ბორცვის გაცნობა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის და ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება ნეოლითურ ხანაზე. მოსწავლეები გაეცნენ გურიანთის ნეოლითურ ხანის ნამოსახლარებს- სკურდუმის ბორცვის კაჟის , რიყის და ობსიდინის სამიწათმოქმედო იარაღებს, თიხის წარმოებას.

24 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში გაიმართა ღონისძიება „ექვ. თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ ღონისძიების ფარგლებში საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარადგინეს ნამუშევრები ექვ. თაყაიშვილის ბიოგრაფიის სხვადასხვა პერიოდზე - ბავშვობიდან-წმინდანობამდე. ღონისძიებას ესწრებოდნენ ასევე უცხოელი სტუმრები. სასწალო- შემეცნებითი ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებმა განამტკიცეს ცოდნა ექვთიმე ღვთისკაცის ბიოგრაფიიდან მნიშვნელოვან დეტალებზე.

25 აპრილი გიორგი სალუქვაძის სახ მუზეუმში გაიმართა მანანა სიხარულიძის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით „ზღაპრული სამყარო“. გამოიფინა ბევრი საინტერესო ხელნაკეთი ნივთები. გამოფენას ესწრებოდნენ სოფლის ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდები და მოწვეული სტუმრები.

5 მაისი. მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით გაიმართა ღონისძიება „ ჩაის ფესტივალი „ აღნიშნულ ფესტივალს ესწრებოდნენ სტუმრები საქართველოში აკრედიტირებული საელჩოებიდან, სამინისტროებიდან და ადგილობრივი თუ ჩამოსული საზოგადოება. აღნიშნულ ფესტივალში **ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანებამ** მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ფესტივალში. ჩვენ მოვამზადეთ გურული ეთნოგრაფიული კუთხე - სამზადი სახლი. მოეწყო ჩურჩხელების ამოვლება, გამზადდა ტრადიციული კერძები. გაფორმდა გურული კუთხე დამახასიათებელი ატრიბუტებით.

9 მაისი - გურიანთის მემორიალურ მუზეუმს ეწვია მისი პირველი ხელმძღვანელი, პედაგოგი ნინო ურუშაძე თავის აღსაზრდელებთან ერთად. გაიხსენეს მუზეუმის დაარსების პერიოდი, 1982 წელს თუ როგორ შეიქმნა სოფლის მემორიალური მუზეუმი, როგორ ივსებოდა წლეების განმავლობაში ექსპოზიცია, რა ღონისძიებები იმართებოდა და ა.შ. ასევე ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე - ,,სოფლიდან წარზავნილები ii მსოფლიო ომში“. გამახვილდა ყურადღება თუ როგორ გაიწვიეს ფრონტზე 326 ახალგაზრდა, რომელთაგანაც 119 არ დაბრუნებულა, როგორ გამოიჩინეს თავი მათ და მარტო ერთი სოფლიდან ორმა - პორფილე ჩანჩიბაძემ და ვასილ კვაჭანტირაძემ მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები, ღონისძიების შემდეგ ახალგაზრდებმა გმირთა ძეგლები ყვავილებით შეამკეს.

2019 წლის 14 მაისს ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფილიალებში, მუზეუმთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული დაიწყო - **გურიანთის მემორიალური მუზეუმიდან.** მუზეუმის თანამშრომლებმა IV - VIII საუკუნის ძეგლზე -ციხე ქალაქ ვაშნარში ჩაატარეს გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი. საჯარო სკოლის მოსწავლეებს გააცნეს ციხე- ქალაქის ისტორია, მისი მნიშვნელობა იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. აღნიშნული თემა წარადგინა ფილიალის გამგემ მარინე მიმინოშვილმა. ვაშნარის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში და ასევე გასულ წელს საქართველოს ძერგლთა დაცვის სააგენტოს მიერ მოვლენილი არქეოლოგების მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები და აღმოჩენილი არტეფაქტები

აუდიტორიას გააცნო სამუზეუმო გაერთიანების დირექტორმა გოგა ტრაპაიძემ. კვირეული გრძელდება სხვა ფილიალების ჩართულობით.

15 მაისს, ლიხაურის ექვთმე თაყაიშვილის მუზეუმში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით - ,,ძმაო ექვთიმე," რომელიც მიზნად ისახავდა აქვთიმეს მიმოწერიდან შედარებით უცნობი წერილების გაცნობას მომავალი თაობისა და დამსწრე საზოგადოებისადმი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ექვთიმე თაყაიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, წაიკითხეს ექ. თაყაიშვილის წერილები ნ. მარისადმი, ი. სონღულაშვილისადმი... ასევე თავადაც გაუგზავნეს წერილები ღირსეულ წინაპარს. ღონისძიება წარიმართა ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

16 მაისს ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის სახლმუზეუმში გაიმართა, საქართველოს სახალხო არტისტის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერის გიორგი სალუქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც ცხემლისხიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. მათ პოეზიით, სიმღერებითა და ცეკვებით აუდიტორიის თვალწინ გააცოცხლეს გიორგი სალუქვაძის ცხოვრება, მოღვაწეობა, პოეზია, ცეკვები და სიმღერები. სახელდახელოდ დადგეს სალუქვაძის მიერ აღდგენილი უძველესი ქართული ცეკვები: კალმახობა და ფერხული. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული დასრულდება 18 მაისს დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

18 მაისს როგორც მთელ საქართველოში, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აღინიშნა **ეროვნული სამოსის დღე.** აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანებამ. მოაწყო ფოტო გამოფენა, მუზეუმის ექსპოზიციიდან გამოტანილი იქნა ძველ, ეროვნულ ტანსაცმელებში გამოწყობილი გურული ტიპაჟები.

18 მაისს ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ორგანიზებით, დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მუზეუმთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა - სახელწოდებით ,,მუზეუმები როგორც კულტურული ჰაბები ტრადიციის მომავალი ... ტრადიციული გურული სამზარეულო და ძველი გემო". აღნიშნულ ღონისძიებაში ნომინაციების მიხედვით გამოვლინდა 12 გამარჯვებული მოსწავლე, სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან. ღონისძიებამ მიიღო უპრეცენდენტო მაშტაბები, ღონისძიებაში ჩაერთო როგორც საჯარო სკოლების მოსწავლეები, ასევე მათი ბებიები საინტერესო რეცეპტებით, ასევე პედაგოგები, მუზეუმელები. საინტერესო პრიზები დააწესა მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა. მოსწავლეები დააჯილდოვა სამახსოვრო დიპლომებით ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანებამ. ღონისძიებას ორასზე მეტი სტუმარი დაესწრო.

27 და 28 მაისს ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის სახლ- მუზეუმს ფოკლორულის ფესტივალის – „მომავლის ხმების" მონაწილეები ესტუმრნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობს დასავლეთ საქართველოში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 11 სალოტბარო სკოლა : (ოზურგეთი, წალენჯიხა, ლენტეხი, საჩხერე, ონი, მესტია, ფოთი, ბათუმი, ზესტაფონი, ქობულეთი, სამტრედია), რომელშიც ჩართულია 400-მდე ბავშვი. ღონისძიების მიზანია, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციული სიმღერა-გალობის უკეთ წარმოჩენა მომავალი თაობებისთვის. ფესტივალზე ბავშვებმა ერთმანეთს წარუდგინეს და მოასმენინეს საკუთარი კუთხის ნიმუშები, შემდეგ მუზეუმში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული და შემოქმედებითი აქტივობები, ბავშვები ერთმანეთს შეეჯიბრა ცეკვებში, სიმღერებში, გაიმართა შეჯიბრებები გუნდებს შორის. მონაწილეებმა სიმღერებისა და ლექსების ფონზე მეტად საინტერესო გახადეს ღონისძიება, ასევე მუზეუმის თანამშრომელმა

მანანა სიხარულიძემ წარმოგვიდგინა თავისი ხელნაკეთი ნივთები, რამაც სტუმრების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ამ დღეებში მუზეუმი მოინახულა 500-მდე სტუმარმა.

6 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, **დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში,** გაიმართა ღონისძიება "ვაჩუქოთ ლამაზი დღეები ბავშვებს" ახალგაზრდებს ჩაუტარდათ საუბარი ბავშვთა საერთაშორისო დღის მნიშნელობაზე, შესრულდა სხვადასხვა აქტივობები: გასართობ ცენტ "პინოქიოს" შემოქმედებითმა ჯგუფმა წარმოადგინეს თოჯინების თეატრი, ანასმბლმა "თამარიონმა" შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. საჯარო სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიციების წარმოდგენაში. ბავშვებმა დღე შინაარსიანად და ხალისიანად გაატარეს.

30 ივნისს, დვუაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება „გურული კარმიდამო", სადაც ეტაპობრივად განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 1) გურული წნელის ღობის დაწნის სწავლება;

2) კვერის გამოცხობის სწავლება სამზადისში შუაცეცხლზე; 3) გურული კარმიდამოს დათვალიერება, ბეღელის, ნალიას და სამზადისის დანიშნულების ახსნა; 4)მარანი-ღვინის დაყენების ტექნოლოგიის გაცნობა, საწნახელის დანიშნულებისა და დამზადების ტექნოლოგიის გაცნობა;

მუზეუმს პერიოდულად სტუმრობდნენ ადგილობრივი და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები.

1 აგვისტოს მუზეუმს ესტუმრა მწერალი ქალბატონი - მედეა თიკანაძე, რომელიც მუშაობს წიგნზე გურიის შესახებ;

9 აგვისტოს ლიხაურის ექთიმე თაყაიშვილის მუზეუმში სტუმრად იყო ოპერის მომღერალი, წარმოშობით ლიხაურელი - სოფი გორდელაძე. რომელიც შეხვდა ნინო თოიძის საზოგადოების, ფონდი „თანადგომა ერთსულოვნების" თანამშრომელებს. დასახეს სამომავლო ურთიერთობის გეგმები.

მუზეუმს ჰქონდა მიწვევა სამეცნიერო სესიაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა რუსლან ურუშაძე;

იმედის ტელევიზიამ ჩაიწერა რუსლან ურუშაძის საუბარი;

15 აგვისტოს მუზეუმს ესტუმრა იაპონელი მხატვარი - ისაო ტომოდა, რომელიც დაუმეგობრდა მუზეუმს და ურთერთობის გაგრძელება დასახა, სტუმარი დიდი ინტერესით გაეცნო ექვთიმეს ბიოგრაფიას.

პერიოდულად ტარდება ექსკურსიები;

გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-X საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი გაიხსნა. კონკურს-ფესტივალში უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და ესტონეთის ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლები , ასევე საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდენ, გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმში სტუმართა საზეიმო მიღება და კონცერტი გაიმართა

8 ივნისს, გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-X საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის ფარგლებში დღეს გიორგი სალუქვაძის ბორელიეფი გვირგვინით შეამკეს. სოფელ ცხემლისხიდში, გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმში გაიმართა

სტუმართა საზეიმო მიღება, მოეწყო ფესტივალის მონაწილე ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

6 ივნისს გურიანთის მემორიალურ მუზეუმში ჩატარდა სკოლის მოსწავლეებთან გეგმიური გაკვეთილები, რაც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლებას და გურიაენთის ისტორიის გაცნობას;

10 ივლისს ინდივიდუალური დამთვალიერებლები სხვადასხვა ქალაქიდან, რომელსაც გავაცანით მუზეუმში წარმოდგენილი ნივთები, კერძოთ ნეოლითური ხანის სხვადასხვა სამუშაო იარაღები, რომლებიც ნაპოვნია მდინარე სკურდუმის ტერიტორიაზე.

16 სექტემბერს, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მუზეუმში იმყოფებოდა სოფ. გურიანთისა და ციხისფერდის სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაათვალიერეს მუზეუმი და ექსკურსიის ჩატარების შემდეგ მოსწავლეებმა, პედაგოგებთან ერთად აირჩიეს სხვა და სხვა წლიური სამუშაო თემები.

24 სექტემბერს მუზეუმში იმყოფებოდა საქართველოს ბანკის თანამშრომლები თბილისიდან.

8 ოქტომბერს, სოფელ გურიანთის მემორიალურ მუზეუმში იმყოფებოდა სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც დაათვალიერეს მუზეუმი.

21 ოქტომბერს, დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოსწავლეებს ჩაუტარდათ გაკვეთილი თემაზე : ჩამურის ისტორია 1)გურიაში ეთნოგრაფიული ატრიბუტი "ჩამური". 2)"ჩამურის "მნიშვნელობა. 3)რისთვის გამოიყენებოდა"ჩამური". 4)იყენებენ თუ არა დღეს "ჩამურს". 5)ბავშვების მიერ ამ თემაზე ჩატარებული პრეზენტაცია. გაკვეთილი ჩაატარა ნ.ჯაველიძე

11 ნოემბერს, სკოლის მოსწავლეებს დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩაუტარდათ გაკვეთილი: ვაზი საქართველოს ისტორიაა. 1)ინფირმაციის მოძიება ვაზის ჯიშებთან დაკავშირებით. 2)მოძიებული მასალების დაჯგუფება ,დახარისხება გენერირება. 3)საპრეზენტაციო მასალების მოძიება. 4)პრეზენტაცია. გაკვეთილი ჩაატარა :ნინო ჯაველიძემ

18 დეკემბერს მოსწავლებს ჩაუტარდათ გაკვეთილი თემაზე: ჩიჩილაკის ისტორია, ჩიჩილაკი და ღვეზელი გურულების სავიზიტო ბარათია 1)ჩიჩილაკის ისტორია. 2)დამზადების ტექნოლოგია. 3)საუბარი გია დათაშვილთან , რომელიც ჩიჩილაკს ამზადებს 4)მოსწავლეების მიერ ჩიჩილაკის ისტორიის პრეზენტაცია.

17 ოქტომბერს, ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში „ექვთიმეობის“ დღესასწაული კულტურული და მხატვრული ღონისძიებებით აღინიშნა.

ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში მხატვრულ-ლიტერატურული საღამო გაიმართა. ჩატარდა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი. წარმოდგენილი იყო პერფორმანსი "წერილი" - ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

სახლ-მუზეუმში ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი ოზურგეთისა და ზუგდიდის საკრებულოების თავმჯდომარეებმა მოაწერეს.

ორი მუნიციპალიტეტის საკრებულოებს შორის მსგავსი სახის ურთიერთობა, თვითმმართველობის ისტორიაში პირველია და მრავალმხრივ თანამშრომლობას მოიცავს.

ღონისძიებას გურიის მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, რწმუნებულის მოადგილე გია ებრალიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დელეგაციის წევრები დაესწრნენ.

5 ნოემბერს, ექვთიმე თაყაიშვილს მუზეუმში ლიხაურის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა ინგლისური ენის მასწავლებლებთან ლამარა გოგოძესთან და Kristin Heimburg ერთად წარმოადგინეს მცირე სპექტაკლი ინგლისურ ენაზე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების შესახებ...

მოსწავლეები და მუზეუმი დიდი სიხარულით ჩაერთო ამ პროექტში, ორმაგი მონდომებით და სიამაყით თამაშობდნე სპექტაკლს. კიდევ ერთხელ გაიაზრეს ექვთიმეს ღვაწლის მნიშვნელობა. ასევე შეძლებენ ინგლისურად ისაუბრო დიდი ქართველის და წმინდანის შესახებ. ეს მართლაც ემოციური ღონისძიება იყო.

10 ოქტომბერს, გურიანთის მემორიალურ მუზეუმში, გურიანთის საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწალეებს ჩაუტარდათ გაკვეთილი თემაზე: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ მოსწავლეები გაეცნენ მუზეუმში დაცულ ექსპონატებს, ისაუბრეს ძველ და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ნივთებზე.

23 ოქტომბერს, მუზეუმში, ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე: „გურიანთაში საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების ისტორია 1894 წლიდან დღემდე“, მოსწავლეები გაეცნენ მუზეუმში დაცულ 1900 წლის 7 ნოემბერს შედგენილ დიმიტრი ნაკაშიძის ანდერძს, დაათვალიერეს ძველი სკოლის პირველი მასწავლებლების ფოტოები.

14 ნოემბერს, ციხისფერდისა და გურიანთის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით: „ჩემი სოფლის გამოჩენილი ადამიანები“

ბავშვები გაეცნენ სამამულო ომის გმირებს, ვასილ კვაჭანტირაძისა და პორფილე ჩანჩიბაძის ბიოგრაფიას, მუზეუმში დაცულ მათ პირად ნივთებს.

16 დეკემბერს, მუზეუმში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე: „საკალანდო ტრადიციები“, ჩიჩილაკის დანიშნულება, ცხემლის ჭრის საღამო და აგუნის გადაძახილის ტრადიცია.

16 ნოემბერს, გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმში, ცხემლისხიდის სკოლის მოსწვლეებს ჩაუტარდათ ღონისძიება : „შემოდგომის ჭირნახულის დაბინავება გურულ კარმიდამოში“, მოსწავლეები გაეცნენ ნალიის, ბეღელის, სამზადისის დანიშნულებას;

15 დეკემბერს, ცხემლისხიდის სკოლის მე-7 კლასის მოსწლეების ჩართულობით ჩატარდა ღონისძიება, გურული, ტრადიციული საკალანდო, კერძების მომზადება, ადგილზე, გურულ სამზადისში, ბავშვები გაეცნენ საშობაო ღვეძელის მომზადების წესებს;